სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 787

დამატების № 138

სამშაბათი, 1 იანვარი 1913 წ.



ნეტარი წუთი—ქანდაკება მარმარილოსი.

2899

ᲕᲚ. ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲕᲚ. ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲰᲐᲛᲚᲔᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲠᲘᲡᲐ

(თარგმანი უკრაინულ ხელთნაწერიდან).

დილა ადრიანად შევნიშნე და იმის შემდეგ თვალს ვადევნებ.

ღარიბული შავი სამოსელით ჰფარავს ტანს მკრთალი სახით, ზღვასაებრ თვალებით, რომლებშიაც გამოჰკრთოდა ბურუს მოცული შიშით შეზავებული იმედი, იგი გამოვიდა ადრიანად.

ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადადიოდა, უკან მისდევდა გძელი ჩრდილი, რომლებსაც ჰკეცავდნენ მაღალი შენობების კედლები, ჰქელავდნენ ცხენები, ეტლის თვლები და ადამიანები.

გადარბოდა ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე და იძახდა:

— იყიდეთ ყვავილები! არა გნებავთ? იყიდეთ ყვავილები!

მის მარჯვენა მკლავზე ირხეოდა დაწნული ვაზის კალათა. დილიდანვე შევნიშნე, რომ კალათში თეთრს თავშალზე ნაზად ელაგა რამდენიმე მიხაკი, ერთი კონა რეზედა და ერთიც ვარდი, წითელი, როგორც თეთრს მკერდზე შემხმარი სისხლის წვეთი.

როგორც კი ვინმე გამვლელი მიაქცევდა მას ყურადღებას, როგორც კი უცაბედი მზერა მიაჩერდებოდა ყვავილებიან კალათს, მის ტუჩებზე გველივით გაითამაშებდა ღიმილი, ლამაზს სახეზე გამოიხატებოდა მონურ გრძნობათა ხაზი, აედევნებოდა და ეხვეწებოდა ეყიდნა ყვავილი:

— საუკეთესო ყვავილი—ვარდი, მიხაკი, რეზედას კონა!..

ადამიანები კი მიდიოდნენ ჯგუფად, წყვილ-წყვილი, ან სათითაოდ, და არავინ კი არა ყიდულობდა ამ საუკეთესო ყვავილებს. ყველა სიხარულით უცქეროდა ამ მონის მოხრილ ქედს.

როცა დაიღალა, ჩამოჯდა მოჭრილ ხის მორზე, რომელიც ორი ქუჩის ჯვარედინზე იდგა, მოარიდა ადამიანებს თვალი და მოსთქვამდა:

— ჩქარა დაბინდდება, ყვავილებს კი არავინა ყიდულობს. ნეტავ სულ არ გაშლილიყავით, თუ კი ასე დავიტანჯებოდი თქვენთან, ნეტავ დასჭკნებოდეთ, როგორც მე ვსჭკნები, თქვენი შემყურე.

იჯდა და სევდას ჰფენდა თავის ირგვლივ; მზის სხივებში ჩაკონებული ყვავილები კი თრთოდნენ და სჭკნებოდნენ, იბანებოდნენ სიკვდილის ფუფუნებაში. ჩაშავდა ვარდის ფოთლები, ნაცრისფერ ფიფქით მოიფინა ყვავილის თავი, მიხაკი თავის ყლორტს დაეხარა, გაყვითლდა რეზედაც...

როგორღაც უცბად მოვიდა გონს და მიმოავლო თვალი ყვავილთა უსულო გვამებს: სიმდიდრე, რომელზედაც მთელი დღე გასძახოდა, განქრა. მის წინ უმწეო ყვავილები, და საღამოს ბინდი ეხვეოდა მათ.

კალათა გადისროლა შორს, გაბედვითა და გადაწყვეტით წამოდგა, კეკლუცად გასწორდა წელში და წავიდა იქით, სადაც ფანრის შუქი არღვევდა საღამოს ბინდს.

თითქოს უცაბედად მხარი გაჰკრა ვიღაც ყმაწვილ კაცს ტ სიცილის მძივი გაუფინა მას წინ.

. . . . . .

რამდენიმე წუთის შემდეგ, უკვე ვიღაც მოხუცს ხელგაყრილი მოჰყავდა, მხიარულად ჭიკჭიკობდა და ამაყად უცქეროდა მის მაცქერალ, მის მსურველს ბრბოს. ამ ცქერაში გამოიხატებოდა სიბრალული და ზიზღიც.

იგი ამბობდა:

— მე გავყიდე ჩემი ყვავილები!

Გ. ᲜᲐᲛᲝᲠᲐᲫᲔ.

ᲕᲚ. ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲕᲚ. ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ.

ᲛᲖᲔ...

მზე...

მზე სხივოსანი,—მაცხოვარია...

იგი თვალია უზენაესით გადმომზერილი... და მით ბუნების გვირგვინი არის გაბრწყინებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სინათლით ცა ილიმება... მით არე მარე, ვით დღე, ნათლდება, მხიარულდება...

მითივე ხაროს მიწა მშობელი... და წარმოშობილს, მეტ-ყველს თუ უტყველს, უდგია სული...

მზე..

მზით მოისახა აქ სამოთხეი სიყვარულისა... მაში ხაროს ხე უკვდავებისა... იგია ჰყვავის, ვითა ნამყენი კაკობრიობის... ადამის შვილთა: მასაზრდოებ-ლად, დამატკბობელად...

და, რომელს მისგან, ეს უხილია და უგემია, ის სააქაოს ბედნიერია... მით უკვდავია...

—

მზე...

მზეო, ამოდი!... ნუ ეფარები მანდ დასავლეთსა... და მაღალ მთებსა, ჩემის ედემის დამაჩრ-დილალსა..

ზამთრისა პირმა მოსცა სი-ყვითლე აქ სამოთხესა... ხოლო ცივ ქარსა, ვით კაეშანის მავ-ნემა სულმა, გააყრევინა ცხოვ-რების ხესა მწვანე ფოთოლი, მის სულიერი მსაზრდოებელი...

ზამთრისა სუსხმა, ვით ჯოჯოხეთურ ალმა დამწველმა, ვა-რდი დააჭკნო შენით ნახარი, შენით ფურჩქვნილი... ხოლო გა-ჰყინა წმინდა წყაროი, ცელქი მალხაზი, ყოვლის მალხენი, მით ნაკადული...

† თ-დი იური ჭავჭავაძე.

შეხედ არწივსა, ამაყ თის შვილსა, ვითა ცის ძირში თა-ვისუფლებით მონავარდესა, და შენსა სხივთა პირდაპირისა თვა-ლით მჭვრეტელსა... დღეს ჩა-ბუდული თავ ჩაღუნული... და ფრთებსა იბღერტს მთლად და-თოვლილი, მით დატვირთუ-ლი...

მზევ, აღარ ისმის გალობა შაშვის... შესწყდა ჭიკჭიკი ალვირცხლის მერცხლისა,—მა-ხაროვლისა,—აქ სანეტაროს გა-ზაფხულისა...

სად არის სადა?... აღარსადა სჩანს ნაზი ბულბული... სდუმს, —ვით მგოსანი თავის სატრ-ფოით გულდათუთქული, დაო-ბლებული,—ვარდისა მოტრფე შეყვარებული...

ან, და მგოსანმა თავისი ქნარი: ვისთვის მომართოს, რით ააჟღეროს, როს მისთვის სატრფო: უსმენ-უტყვია, ვით გაყი-ნული, მით გულცივია...

ჰოი, მაცხოვარო! რას იგვიანებ, გადმოიხედე, ცხოველთ სხივები გადმოამზირე... მით გაზაფხული ქვეყნად მოჰგვარე...

მე არ მახარე?!... მოძმენი მაინც, მით გაახარე...

ს. გლახაშვილი.

დავამტკიცე

ფრანკ კენდონისა.

საკვირველი არსებაა ქალი. თუ შედარებით ბედნიერია, თუ მისი ცხოვრება ერთ დონეზე მიმდინარეობს, როდი კმა-ყოფილდება ამით და „რაღაცის“ ძებნას იწყებს. სცდილობს დარწმუნდეს, რომ „ეს“ ნამდვილად ასე არის და ბოლოს და ბოლოს, ხშირად არწმუნებს თავის თავს, რომ „ის“ მართალი იყო. როდესაც ქალს რამე ეჭვი ებადება კმაყოფილია, თითქმის ბედნიერიც.

აი მაგალითად, ქ-ნი მედჟი გენდერსონი. რას იტყვით, რომ მას არა ჰქონდეს. მშვენიერი სახლი, სპარსული ნოხები, თვით დამკვრელი პიანინო, უუპატიოსნესი მოსამსახურე-ნი, ბანკში ფულები, აუარებე-ლი ტანსაცმელი, ჯანმრთე-ლობა და ლამაზი სახე.

ამას გარდა ქმარიც ახალგაზ-და ჰყვას. რობერტს ისე გა-გიჟებით უყვარ და მედჟი ჯვრის წერამდე, რომ მისი ნაცნო-ბები ყოველ შეხვედრის დროს თითქმის ტირილით ემუდარე-ბოდნენ: ვიზედაც გინდა ილა-პარაკე, მხოლოდ შენ დანიშ-ნულზე კი არაო.

შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი

ნ. ა. მაკლაკოვი.

რობერტი დღემუდამ დილის ცხრა საათზე მიდის ხოლმე ბიუროში და საღამოს ხუთ საა-თამდის არა ბრუნდება სახლში. მოაქვს ხოლმე თავის „შეუდარებელ“ მედჟისათვის შოკოლა-დი, თაიგული, ახალი წიგნები და სხვა.

მედჟს ერთმა მეგობარმა ქალმა ტიუკსმა წიგნი აჩუქა ამ სათაურით: „ბედნიერი ცოლ-ქმრობა“.

მედჟმა წიგნი დიდის ყურადღებით გადაიკითხა, ბევრი შენიშვნები გაუკეთა ალაგ-ალაგ და ზოგიერთი ადგილები ზე-პირადაც კი დაისწავლა. რობერტისთვის კი არა უთქვამს რა ამ წიგნის თაობაზე.

რობერტი ვერაფერს ვერ ამჩნევდა, გრძნობდა კი რომ მედჟი მისდამი ცოტათი გამოიცვალა.

ცხელი, სულშემხუთავი საღა-მო იყო. რობერტი ოფლში გაწურული მივიდა სახლში და გასაგრილებლად ცივი ვანის მისაღებად ემზადებოდა. შევი-და სასადილო ოთახში და მეხ-დაცემულივით გაშეშდა: მედჟი მაგიდასთან იჯდა თავჩაქინ-დრული და ქვითინებდა: ტირი-ლისაგან მთელი სხეული უძიგ-ძიგებდა.

— რა მოხდა?—ჰკითხა რო-ბერტმა და მიუახლოვდა.

მედჟი ტიროდა.

რობერტმა ალერსით გადა-უსვა თავზე ხელი და უნდოდა ლოყაზე მოეცაცუნებინა ხელი, როგორც გაჯიუტებული ბავ-შვისათვის, მაგრამ მედჟმა სწრა-ფად ‘ოიშორა’ რობერტის ხე-ლი.

— თავი დამანებე!—შეჰყვი-რა მედჟმა, წამოდგა და ცრემ-ლების წმენდა იწყო.

— ეს რას ნიშნავს?—ეკით-ხებოდა გაკვირვებული რო-ბერტი.

შენც კარგად იცი ყველაფერი—მიუგო მედჟმა გულცივად.

— არაფერიც არ ვიცი და ამიტომ გეკითხები,—უთხრა რობერტმა.—ხომ არავინ გამილახა ჩემი ჩიტუნია! არა?

— ხუმრობის გუნებაზე არა ვარ,—უთხრა მედჟმა,—საქმე უფრო ცუდათაა, ვინემ შენ გგონია. განა... განა მე არ ვიყავი სამაგალითო ცოლი?

— რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო! შენ საუკეთესო ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ხარ ქვეყანაზე. მაგრამ, რათ მეკითხები ამას? განა მე კი ცუდი ქმარი ვარ?

— ო, შენ!.. ვინ არის ის ქალი? ჰა! ვინ არის?—ტირილით ეკითხებოდა მედჟი.

გაოცებული რობერტი სავარძელში ჩაეშვა. გაიფიქრა, ალბად თუ იმოქმედა მასზეო.

— ვინ ქალი?—დიდიხნის სიჩუმის შემდეგ შეეკითხა რობერტი.—მედჟ, გთხოვ დაჯდე და მიამბო გარკვევით, თუ რაშია საქმე!

— შენ მე ვერაფერს ვერ დამაყვედრი—ამბობდა მედჟი.—ყოველთვის ვცდილობდი შენთვის მესიამოვნებინა მე... შენ კი, რით გადამიხადე? სრულიად დამივიწყე, მიღალატე...

— ტყუილია,—წყნარად უთხრა რობერტმა. შენ ერთად ერთი ქალი ხარ, რომელიც მიყვარდა და მიყვარს. სხვა ქალი ჩემთვის არ არსებობს და არც იარსებებს. აქ რაღაც გაუგებრობაა.

გეფიცები, რომ ვერ გამიგია რაშია საქმე.

— მაშ, იქნება ამ წერილის შინაარსი მაინც გაიგო! დაცინვის კილოთი უთხრა მედჟმა და წერილი გადასცა.

— ეს რა არის?—უთხრა რობერტმა.

— წაიკითხე და გაიგებ.—მრისხანედ უთხრა მედჟმა. რობერტმა გახსნა წერილი და წაიკითხა: ჩემო ძვირფასო, რობერტ! გახსოვდეს, რომ შენა ხარ ერთად-ერთი კაცი ქვეყანაზე, რომელიც მე მიყვარს. ვიცი, რომ შენც ჩემს მეტი არავინ გიყვარს და არც არავის შეიყვარებ. ხომ მართალია, ჩემო ძვირფასო?

შენი დეზი“.

აწყვერის (მესხეთში) სამინისტრო სკოლის მოწაფეები, რომელთაც განიზრახეს ქართული წერა-კითხვის შესწავლა. მოწაფეები ყველა ქართველი მაჰმადიანები არიან.

განცვიფრებული რობერტი ხან მედჟს შესცქეროდა, ხან წერილს. მას არასოდეს არ ენახა ასეთი ნაწერი.

— ალბად ვინმემ თუ იხუმრა,—სთქვა სიცილით რობერტმა.

— კარგი ხუმრობაა!—უთხრა მედჟმა,—ეს წერილი შენ პალტოს ჯიბეში ვნახე. წარმოიდგინე, ამ წერილს ძალიანაც არ გაუკვირვებივარ. კარგა ხანია გატყობდი, რომ გამოიცვალე და ამის მიზეზი არის „სხვა“ ქალი. ნუ თუ გგონია, რომ ქალები ისე ბრმები არიან, რომ ეს ვერ დაინახონ? არა, ქალი ჰგრძნობს და...

მედჟს კვლავ ცრემლები წასკდა.

— ეს ხომ გაუგებრობაა,—განიმეორა რობერტმა,—ვერ წარმომიდგენია რომელ ქალს უნდა მოეწერა ეს ჩემთვის. ამ ხელს მე პირველად ვხედავ. სრულებით ვერ გამიგია საიდან გაჩნდა ეს წერილი ჩემ პალტოს ჯიბეში. მე ვიცი მხოლოდ ის, რომ შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ! დამიჯერე, ძვირფასო მედჟ! არასოდეს აზრადაც არ მომსვლია შენთვის მეღალატნა. მოდი, დამშვიდებით მოვიფიქროთ, რომელი ხუმარა ან და რომელი ღღირსი ადამიანი დასწერდა ამ წერილს. რომელმა უგუნურმა განიზრახა ჩვენი ბედნიერების დარღვევა?

რობერტმა ხელები დაუკოცნა მედჟს და დიდხანს ლაპარაკობდა გრძნობით, როგორც მოსიყვარულე ქმარი.

ცოტა ხნის შემდეგ გამოიდარა. მედჟმა ტირილს თავი დაანება, გამხიარულდა.

— არ ერწმუნები ხომ ამ წერილს?—ჰკითხა რობერტმა. ხელები დაუჭირა და თვალებში ჩააცქერდა.

— არა, რობერტ! არ ვერწმუნები. ეს შეუძლებელია! მედჟი კარგ გუნებაზე დადგა. რობერტი ძალიან გააკვირვა ტირილიდან ასე მალე სიცილზე გადასვლამ.

— ეხლა კი დავრწმუნდი,—ამბობდა მედჟი,—რომ „სხვა“ ქალი შენთვის არ არსებობს. მას შემდეგ, რაც შენ ეს დაამტკიცე, ჩემი ეჭვები გაიფანტა.

— ესე იგი რა დავამტკიცე?—შეეკითხა გაკვირვებული რობერტი.

— დიახ, ჩემო ძვირფასო! მიუგო მედჟმა.—ეხლა მივხვდავ, რომ „სხვა“ ქალი არ არსებობს. ეს წერილი მე დავწერე... უფრო სწორედ რომ ვქვა მე კი არა, ჩემმა მეგობარმა ქალმა ჩემის კარნახით, და მე ჩავდევი შენს პალტოს ჯიბეში.

— რად ჩაიდინე ეგ საქმე?

— გამიგონე, ჩემო ძვირფასო! ახალ წიგნში: „ბედნიერი ცოლ-ქმრობა“ გმირი ქალი სწორედ ასევე მოიქცა. ავტორი უჩვენებს მას საშუალებას, რომ დარწმუნდეს მასში ღალატობს ქმარი თუ არა. ავტორი ამბობს, რომ როცა ქმარს ეტყვი, შენ მღალატობო, თუ ქმარმა დაიწყო ყვირილი, ღალატის უარის-ყოფა და უკმაყოფილების განცხადება,—მისი დანაშაულობა, ე. ი. ღალატი დამტკიცებულიაო. და თუ ქმარმა წყნარად ილაპარაკა, არ აღელდა—უდანაშაულოაო. რადგანაც შენ სწორედ ამ უკანასკნელებსავით მოიქეცი, მე დავრწმუნდი, რომ შენ მართალი ხარ. გთხოვ მაპატიო ეს სულელური საქციელი, ჩემო რობერტ! ხომ მაპატიებ, ჰა?

— გაპატიებ, მხოლოდ ერთის პირობით,—უთხრა რობერტმა.—სად არის ის წიგნი? „ბედნიერი ცოლ-ქმრობა“?

— ჩემ საწოლ ოთახშია,—მიუგო მედჟმა.

— ეხლავე აქ მომიტანე,—უთხრა რობერტმა.

— მოგიტან, მაგრამ ის წიგნი ჩემი არ არის, ქ-ნმა ტიუკსმა მომიტანა.

— ჩემთვის სულ ერთია, მომიტანე აქ!—უთხრა რობერტმა ისეთი კილოთი, რომ უარის თქმა შეუძლებელი იყო.

მედჟიმ გამოიტანა წიგნი.

რობერტმა გახსნა წიგნი და რამდენიმე გვერდი გადაათვალიერა.

— შესანიშნავი წიგნია,—სთქვა მან და წიგნი ბუხარში შეუძახა.

მალე „ბედნიერი ცოლ-ქმრობა“ და წერილი ფერფლად იქცა.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

სადილ შემდეგ რობერტი კაბინეთში გავიდა დინჯად. სავარძელზე სიგარის წევა იწყო და ჯიბიდან დაბეჭდილი წერილი ამოიღო. წერილს იის სუნი უდიოდა. ნელა, თითქოს არ უნდა ერთი ასო გამოსტოვოსო გადაიკითხა წერილი, მოწიწებით დაჰკოცნა ის ადგილი, სადაც ხელს აწერდა წერილის გამომგზავნი ქალი.

— ნეტა რა „დავამტკიცე“? სთქვა მან და გადიხარხარა. დიდხანს იცინოდა კიდევ მას შემდეგ, როცა ჩადო წერილი მაგიდის უჯრაში, რომელშიაც ათასი სხვა ასეთი წერილი ჰქონდა შენახული.

ტერენტი ვეფხვაძე.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომ...“ რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.